



პრესრელიზი

დაუყოვნებლივი გავრცელებისთვის
თარიღი: 8.11.2016

კონტაქტი: ქეთევან ჯაჭვამე,
საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორი
"სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი
ურთიერთობების ცენტრი" CCIIR
k.jachvadze@cciiir.ge
595 511 050

"სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი" CCIIR საქართველოში ეთნიკური უმცირესობებისთვის განათლების პოლიტიკას აფასებს

8 ნოემბერს, 12:00 საათზე ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში (მისამართი: გუდიაშვილის 7) ა/ო "სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი" CCIIR გამართავს კვლევის ანგარიშის პრეზენტაციას: *ქართული ენის ერთწლიანი პროგრამის ეფექტურობის კვლევა*.

პრეზენტაციაზე ორგანიზაციის წარმომადგენლები და კვლევის ავტორები (შალვა ტაბატაძე, CCIIR - ის ხელმძღვანელი და ნათია გორგაძე, პროექტის მენეჯერი) ყველა დაინტერესებულ და ჩართულ მხარეს გააცნობენ განათლების სამინისტროს მიერ 2010 წლიდან განხორციელებულ საშეღვათო პოლიტიკის საკითხებს, რომლებიც ორგანიზაციამ კვლევის ფარგლებში შეისწავლა და წარუდგინა მათ რეკომენდაციებს პროგრამის/პოლიტიკის გასაუმჯობესებლად.

ქართული ენის ერთწლიანი პროგრამა ეთნიკური უმცირესობებისთვის უმაღლესი განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით ამოქმედდა "საშეღვათო პოლიტიკის" ფარგლებში. აქ მოხვედრა მხოლოდ ერთი გამოცდით, ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ან სომხურენოვანი ტესტის ჩაბარებითაა შესაძლებელი. ჩარიცხვის შემდგომ სტუდენტი ერთი წელი ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლობს, რაც ენის ცოდნის გაღრმავებაში ეხმარება, იმდენად, რომ მომდევნო ოთხი წელი სწავლა ბაკალავრიატის საფეხურზე შეძლოს. ქართული ენის შესწავლის გარდა, არაქართულენოვანი სტუდენტები პროგრამის ფარგლებში, ინტეგრირდებიან ქართულენოვან სტუდენტურ საზოგადოებაში.

ეთნიკური უმცირესობებისთვის უმაღლესი სასწავლებელში ჩარიცხვის შეღვათიანი სისტემა არის ერთ-ერთი ინსტრუმენტი უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობისა და თანასწორობის მისაღწევად უმაღლესი სასწავლებლებში.

კვლევა ჩატარდა "ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის" (PITA) ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს საქართველოს გაეროს ასოციაცია (UNAG), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით.